# საქართველოს გაზეთი

## მარტის 1 დღეს 1819 წელსა ტფილისში.

## Но. 1.

### სანკტპეტერბურღს

ახალწლის დღეს საზამთროს სასახლის ეკკლესიაში საღმრთოს ჟამის წირვის შემდგომად სადაცა სხვა შორის დაესწრნენ უცხოს ქუეყნის მინისტრნიცა, მათ დიდებულებათ კელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა და მათ იმპერატორებითთ სიმაღლეთ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ პავლეს ძემ, და დიდმა მთავრინამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ინებეს მილოცვის მიღება ყოველთა სასახლეში მისრულთა ორისავე სქესის გვამთაგან, მწუხრად სრულიადი ქალაქი განათლებულ იყო ჩირაღდნებითა.

წყნარი, ცხადი და თბილი დარი ჰქონდათ საამოვნოსა დიდსა და ფრიად ჩინებულსა შეკრებილებასა ამ წლის იანვრის 6. ნათლისღების დღეს. პოლკნი: კავალერ გვარდიისა, ცხენოსნის გვარდიისა, დრაგუნისა და კაზაკის გვარდიისა, 2. ესკადრონი ულანისა 2. ესკადრონი ჰუსარისა, ცხენოსანი არტილლერია, პირველი და მეორე გვარდიის საქვეითო დივიზია; პოლკნი ავსტრიის იმპერატორისა, პრუსის კოროლისა, პრუსის მემკვიდრის მთავრისა და გრაფის არაკჩეევისანი: ორნივე გვარდიის არტილლერიის ქვეითი ბრიგადანი, და ორნი მოსწავლეთ კარაბინერნის პოლკის ბატალიონნი გაიდნენ ბრძანებულს დროზედ თავიანთ შესაკრებელს ადგილებში, ოდესცა მისმა დიდებულებამ კელმწიფე იმპერატორმა მისის იმპერატორებითის სიმაღლის დიდის მთავრის ნიკოლოზ პავლეს ძისა და მრავალ რიცხოვნის ამალის თანამხლებით დახედა მხედრობათა ამათ რაზმსა, რომელთაც მიართვეს ჯეროვანი სამხედრო პატივისცემა და მოუწყენლად მადლისკმით იძახდენ ურა; მაშინ იგინი შემოსვენებულისავე წესით წარვიდნენ სასახლის მოედნად და დიდს მოედნის წყლისპირს, და არტილლერია ვასილიევსკის კუნძულს, სადაც დადგნენ მარჯვნივ ისაკიევსკის ხიდის მახლო ახ

მეოადი, და მარცხნივ ახალის პირის გარემო. ემკერიერება და განსხვავებული დიწყობა ამა აღრჩეულთა ნაყოფობათა, მრავალრიცხვეელი შეკრება ყოვლის ასაკისა და მდგომარეობისა მნახავთა, რომელნიც მისრულიყვნენ როგორც დღესასწაულის სანახავლადთა, ისე მისთჳს, რომე იმპერატორებითის სახლის უკეთესებესნი გვამნი იქ ბრძანდებოდენ, დიდებული ლხინი სამღვდელოთა, მოკლედ ეგრეთცა ყოველივე შეერთებულ იყო მისთჳს, რათა სასახლე ეჩვენებათ ყოვლად მშვენიერად და გამოსარჩენად, ჯვარის წყალში ჩასვლის ჟამს გამოსდა გრგვინვა ზარბაზნებისა როგორც ციხიდამ, ისე ვასილიევსკის კუნძულზედ მდგომის არტილლერიიდამ, წყლის კურთხევის შემდგომად შემოსვენებულთ პოლკთ გაიარეს თვისად დაწყობილთა ჩინებულის სამხედროს ხმა ტკბილად მხმობარის საკრავით მისსა კელმწიფე იმპერატორისა, რომელიც ბრძანდებოდა საზამთროს სასახლის მთავარის წინ, რომელზედაც იდგნენ. მისი დიდებულება იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და მისი იმპერატორებითი სიმაღლე დიდი მთავრინა ალექსანდრა თეოდორეს ასული, როდესაც უკანასკნელნი მხედრობანი გასცილდნენ სასახლის მოედანს, მაშინვე მოედანი იგი აივსო ურიცხვის ერის სიმრავლითა რომელიც რადგან ხედვიდა კელმწიფეთა ფანჯარასა მაღალთა თჳსისა სიყვარულისა და კეთილ მოწყალების საგანთა განაცხადებდა უცხოველესსა მადლიერებასა თჳსსა და ერთ ხმობით მოუწყვედლად იძახდა ურა.

ყოვლადწყობილთა მხედრობათა უკამინდებლად თჳთ კელმწიფე იმპერატორი, და მის შემდგომად გენერალ ადიუტანტი ვასილჩიკოვი, ყოველთა ცხენოსანთ მხედრობათა ზედა უფროსობდა გენერალ ლეიტენანტი დეპრერადოვიჩი, და ყოველსა არტილლერიას განაგებდა გენერალ მაიორი კოზენი.

სულის მწუხარებით აღვასრულებთ ჩვენ ვალსა გულისა, და მით გაუწყებთ მკითხველთ

ჩვენთა მისის დიდებულების ჩვენის ყოვლად უსაყვარელესის დიდის მთავრისა ეკატერინა პავლეს ასულის ვირტემბერგის კოროლევას ამიერ სოფლით გარდაცვალებასა, რომელიც იქმნა მოულოდნელის სნეულებისაგამო დეკემბრის კთ. უფალმან ცხოვრებისა და სიკვდილისამან ერთარცა მხოლომან და მოუკლებელმან წყარომან ჭეშმარიტისა ნუგეშინის ცემისამან მოჰფინოს იგი განგმირულსა შინა გულსა ნარნარისა დედისა და სრულიად უაღლესთა სახლისასა, რომელიცა შეკრულ არს განსვენებულსა კოროლევნას თანა სამღრთოჲთა საკრველითა სისხლისა და უწრფელესისა სიყვარულისათა.

## უმაღლესნი ბრძანებანი

გარდმოიყვანებიან გარნიზონიდამ: ბაქოს გარნიზონის ბატალიონის პოდპორუჩიკი ივანოვი -ალრის ყაზანის ღუბერნიის მოსამსახურეთ ინვალიდთ კომანდაში, ქვეითის მხედრობიდამ: იზ. იეგერის პოლკის კაპიტანი საველიევი ალექსანდრის დრაგუნის პოლკში, ცხენოსნის მხედრობიდამ ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკის პორუჩიკი გოლოსოვსკი მეორე სევასტოპოლსკის ქვეითის ჯა-

გარდაცვალებულნი გამოირიცხვიან ნუსხებთაგან: ქვეითის მხედრობიდამ სერხოვის გარნიზონის პოლკის პოდპორუჩიკი შარიპეგოვი, ყაზანის ქვეითის პოლკის პორუჩიკი სიდოროვი, არტილერიიდამ მოსკოვის არსენალის პრაპორშიკი ტონინი. კვარტერმეისტერის ნაწილიდამ ობერკვარტერმეისტერი გაწყობილის საქართველოს კორპუსისა, მისის იმპერატორებითის დიდებულების ამალის კვარტერმეისტერის ნაწილის პოლკოვნიკი ივანოვი მეხუთე.

## გამოცხადებანი:

ქალაქის ტფილისის სამოქალაქოს ღუბერნატორისაგან.

ტფილის ღენარალ ოტრანსპორტის საქართველოს უპირატესს მმართველს და კავალერს ალექსის პეტრეს ძეს ერმოლოვს მიუწოდებია ისპოლნიტელის ექსპედიციისა თვის. რათა მან შეაგონოს ყოველთა საქართველოს მცხოვრებთა, რომელნიცა იგინი მიართმევდენ პირდაპირ მისს მაღალ აღმატებულებას მხოლოდ ყოველთანას გვარის არზებს, რომელთაიცა იყოს სარიგარი მაღალს ადგილებზედ, ესე იგი, ექსპედიციაზედა, ანუ ვინცავინ სეჩვეულ თავისის საქმის სასამართლოში ტყუილად გაგრძელებისა. და სხვას ყოვლის გვარის თავის არზებს მიიტანდენ იმ ადგილში, ანუ მისცემდენ გვამთა მათ, რომელთაცა განხილვაზედ დამოკიდებული არის იმათი კმაყოფა.

ამ მიზეზისათვის იქმნა შემდგომი გამოკრება სჯულთაგან, რომელიც უჩვენებს გზასა თუ სად და საიდამ რაგვარის არზებით უნდა მივიდეს.

მუხლნი წიგნ დებულებითგან ღუბერნიათა თვის.

ჟდ. ისპოლნიტელის ექსპედიციაში უნდა შეიტანებოდეს არზა მის კლის ქვემე ადგილებში საქმის გაგრძელებისათვის.

რჟდ. რდთ. უეზდის სუდში შეიტანებიან საჩივარნი და ყოვლის გვარის დავანი ესე იგი ავადმყოფობისა, უპატიოსისა და უკანონოდ მიწებისა, მამულებისა და სხვისა საგთ გან დაწესებაზედ.

უკაზი ჩლვე. მაისის გ. მანიფესტი ჩლმზ. აპრილის კა.

სლგ. თუ ვინმე ზემოს რომლისამე ადგილის ბრძანებისა ან გარდაწყვეტის მალით ზემსკის პოლიციისაგან ქმაილის აღსრულების კმაყოფილი არ არის, და მეიძლება ამის დამტკიცებას, რომე პოლიცია უკანონოდ მოჰქცევია მას, მაშინ იმან უნდა ჰსთხოვოს ოთხის კვირის ვადა იმ ადგილს, საიდგანაც ის ბრძანება ან განაჩენი აღსასრულებლად მიღებულა.

სმგ. ზემსკის ისპრავნიკი მისცემს თვითეულს უსამართლოდ ავადმყოფობის სამართალიანს შეწევნას, და ამისთვის ყოველს მალისკმარებას, ოდესცა მოხდებოდეს იგი უეზდში, უნდა აცნობებდეს ისპრავნიკს როგორც წერილობითის თხოვნით, ისე ზეპირ.

ჲარი ესე მუხლი მიეწერება სამოქალაქოს პოლიციას, უპირველესთა პრისტავთა, კომენდანტთა, პოლიციის მმართველთა, მოურავთა და ოკრუგის სასამართლოთ ვალსა.

ისპოლნიტელის ექსპედიციისაგან მიწოდე-

ბულნი არიან ამ ქვემოხსენებულთ მამულთ სყი-დვის მიწადენია, რომელნიც საკუთარის ვალე-ბის მიუცემლობისათვის დადებულნი არიან საქვე-ყნოს გასასყიდად.

ა. ცარიელი ადგილი ტფილისში კოლლეჟსკის რეგისტრატორის მიზანდაროვისა იმის ვალში, რომელიც ჰმართებს მას თავადის თუმანოვის ქა-ლის მარიამისა, უკანასკნელი ვადა იმის გასყი-დვისა დანიშნული არის მარტის იე

ბ. სახლი ტფილისში დეისტვიტელნის სტატსკის სოვეტნიკის თავადის ციციანოვისა მის ვალში რომელიც ჰმართებს მას თავადის გიორგი ამა-ტუნისა უკანასკნელი ვადა იმისის გასყიდვისა დანიშნული არის მარტის იე და იზ.

გ. აზნაურთ მელქისედეკისა და იაკობ თუხა-რელთ ყმანი, გორის მაზრის სოფელს ჩვანუბა-ნს მცხოვრებნი ე. სული მამაკაცი და გ სული დედაკაცი იმათის ვალში, რომელიც ჰმართებსთ მათ ახალქალაქში მცხოვრების მელქუა დანდურო-ვისა, უკანასკნელი ვადა იმათის გასყიდვისა და-ნიშნული არის მარტის ით და კბ.

დ. სამი საკომლო მიწა თავადთ იორამისა, თეიმუ-რაზისა და ზაქარია ფავლენიშვილებისა გორის უეზდის სოფელს ბრონწლეეს იმათის ვალში, რომელიც ჰმართებს მათ ტიტულარნის სოვეტნიკის ონიკო-ვის მეუღლის ბარბარესი, უკანასკნელი ვადა დანი-შნული არის იმისის გასყიდვისა მარტის ით და კბ.

ე. სახლი ტფილისის მოქალაქე ისაია ფიროუა შვილი-სა ტფილისის ქალაქს იმის ვალში, რომელიც ჰმა-რთებს მას დავით დეკანოზის მეუღლის მარიამისა უკანასკნელი ვადა დანიშნულ არის იმისის გას-ყიდვისა მარტის იდ. და იზ.

ვ. სახლი ტფილისის ქალაქში ტფილისის მცხო-რებთ ფარსადანისა და იოსებ ოსტაიასე შვილ-ებისა იმათის ვალში, რომელიც ჰმართებს მათ სხუა და სხვას მოვალეებისა, უკანასკნელი ვადა იმისის გასყიდვისა დანიშნული არის მარტისავე იზ. და კა.

ზ. აზნაურის გრიგოლ დეკანოზოვის ყმა მამ-უკა ჯოგნაძე მისის შვილით და მისის ძმისწულით წინიათი იმ თეთრში, რომელიც ჰმართებს მას მღვდლის ერგემლიძისა უკანასკნელი ვადა მისის გასყიდვისა დანიშნული არის მარტის იე და ზი

ჱ. გარდაცვალებულის მაიორის თავადის მელიქოვის სახლის ორი ოთახი ტფილისს იმ თეთრში რომელიც ჰმართებს მას კოლლეჟსკის სეკრეტარის მარიმანოვისა, რომელსაც დღეს მისი ცოლი არ აძლევს, უკანასკნელი ვადა მისის გასყიდვისა დანიშნული არის მარტისავე იზ. და კ.

გარდა ამის მოწოდებულნი არიან.

თ. გარდაცვალებულის პოლიციის დესატნიკის მაკირტიჩას მემკვიდრენი, იმას სიკვდილის შემდ-გომად დაშთომილის ოცის რუბლის თეთრის ფუ-ლისა და ასორმოცდა ხუთის რუბლის ორის თამა-სუქის მისაღებელად იმ პირობით რომ ეს მემკვი-დრენი თუ ექვს კვირაზედ არ გამოცხადდებიან ტფილისის პოლიციაში, მაშინ როგორც თეთრი, ისე თამასუქები საზოგადოს მისდევიან პრიკაზსა ესე იგი საქვეყნოში შეიტანებიან, რა-დგან ამ საქმეზედ მიწერ-მოწერა არის პოლიცი-ისა მიერ ჩყივ. წლითგან დაწყებული.

ი. ესეც ვალი ემართოსთ მეუძლებელთ რაზმა-რა გოგიშვილს აბრამოვს, ტფილისში მცხოვრ-ებთ ნაზარა ბექანიშვილს უსტაიასოვსა, და სვიმ-ონ სოჯი გასპაროვსა და გარდაცვალებულთა საკუთ მიკირტუმა შვილს მირზოევსა, და სტეფანე ირბასა-ნოვსა, და ან რომელთაც მათი ემართოსთ უნდა გამოცხადდნენ უეზდის სუდში ორ ისვადაზედ საბუთებით.

## ახალი ქვეყნის ამბავნი.

### გერმანიისა.

ჰოლლენბურგსა და გლანს შუა დეკემბრის ია. თოვლს ჩამოჰყვა მრავალი შავი და ანელი ორგვა-რი წვრილი მატლი, იმათგანნი უდიდესნი იყვნენ სიგრძით ნახევარ გოჯი, და უმცირესნი გოჯის მესამედნი, შინდელის გვარის მატლნი იყვნენ მრავალნი და მეტად შავის ფერისანი, ესხათ წმინდა ბალანი, და ჰქონდათ ექვს ექვსი ფეხი, რო-გორც ფესუნი, ისე საჭმლის მისაღებნი კერძო-ნი მათნი იყვნენ რბილნი და ფერი ჰქონდათ მოწითებულის დარიჩინისა, სორცი მათი იყო შედ-გენილი იბ. პატარას ნაწილისაგან, და თვითოს იმათ განს თავზედ ება ორ ორი გაშვერებული პატა-რა რქა, მეორის გვარის მატლნი იყვნენ უფრო ცოტანი, ფერი ჰქონდათ მათ მოწითებული უფითო-ლი ორის მოთეთრო ორისაგ გვერდზედ საზღვარი, რომელთაც სრულებით არ ესხათ ბალანი, მეორეს დღეზედ ყოველნივე ეს მატლნი სრულიად გა-ხვრდენ.

### მაინითგან დ. დეკემბერს.

ურთმა შლიპების ქარხნის პატრონმა, რომელიც სახელად ეწოდება შანლის კასხელში იპოვნა ახალის გვარისა და ამისთანას მტკიცისა და მორბილის ნაჭრის გაკეთება, რომე მისი გაჭრა არათუ ხმლის დაკვრით არ შეიძლება, თითქმის არც ერთის გვარის თოფის ტყვიასაც არ შეუძლიან, რომ მას შეატანოს და ავნოს რამე.

### მაინითგანვე ი. იანვარს.

მისის დიდებულების ვირტემბერგის კოროლევნას უეცარმა სიკვდილმა, რომელიც იქმნა ამ თვის თ. უმძლავრესის მწუხარების მახვილით განგმირა როგორც მეუღლის სახლი, ეგრეთვე ყოველნივე მისნი ერთგულნი ყმანი. ამ მესაწუხებელის შემთხვევის მიზეზი გაცივება იყო ასე რომე ამას წინათ კოროლევნა წაბრძანდა თავისის მეუღლითურთ სასეირნოდ და რომელთამე ახალთ შენებულებათ სანახავად და მაშინ გაცივდა, ავმა ხაბმამ მისის დიდებულების პირზედ ამოუშვა მუწუკები, ამას მიწერილ ზედ დაერთვა დიდ ფიცხელი სნეულის კანკალი, რომელმაც თის საათშიდ მიიტაცა მას სიცოცხლე თვით იმ დღეს და თითქმის იმ მინუტში, როდესაც მისი დიდებულება იმპერატრიცა ელისაბედ ალექსის ასული უნდა მობრძანებულიყო მეუღლარეს.

ქოროლი სულთქმით ჰგოდებს და უნუგეშო გამოუთქმელად მწუხარებს, განსვენებული კოროლევა მეხამედ იყო ორსულად.

### ნიდერლანდისა

გარლემს კგ. დეკემბერს გუშინ ეფუსრზედ იდგა იქ ორს საათამდის ასეთი ზრქელი ნისლი, რომე ამის გამო იძულებულმა ადგილობითმა მთავრობამ უბრძანა ანთებით მცხოვრებთ დაენთოთ სანთლები ყოველს ფანჯარებში ხანთილებზედ ანთება მოხალოდებელის უბედურების გასაფრთხილებლად, მაინც კიდევ ამ გაფრთხილებას თანაც რამდენიმე კაცი ჩავარდა წყალში, მაგრამ ყოველნივე ბედნიერად იყვნენ გამოყვანილნი.

### ამსტერდამს კგ. დეკემბერს

ჩვენშიაც იყო გუშინ მეხუთეს საათიდგან დაწყებული სადამოს ათ საათამდის საშინელი ნისლი, უბედურების გასაფრთხილებლად ავანთეთ ფინის ბოჩკები, დაედგით ფანჯრებში ანთებული სანთლები, და არხის პირებზედაც სანთლები გააბით და სხვანი, მაგრამ ამისთანას გაფრთხილებას თანაც რამდენიმე კაცი ჩავარდა წყალში და იმათგანნი რომელნიმე სიცოცხლესაც მოაკლდნენ.

### ანგლიისა.

### ლონდონს კბ. დეკემბერს.

აქ ჯერეთ ისევ დიად საუცხოო გაზაფხულის დარი დგას შეკრება ყოველთა საზოგადოობათ ერისა უკანასკნელს სვარტაბაზედ გაიდპარკსი იყო ასე მრავალრიცხვილი, რომე დიდისანი არის არავის ახსოვს ამისთანა მრავალი ხალხის შეკრება. დუკის ველინგტონის იქ ყოფნამ უმეტესად გაადიდა ხალხის საყოველთაო კმაყოფილება.

### შვეციისა.

### სტოკოლმს კბ. დეკემბერს

აქ ჯერეთ ისევ წარსულს მოხელა აქვსთ ხომალდებს, აგრეთვე წლის ამ დროში საკვირველი დარი დგას, რომელიც იქმნება ვ. გრადუსამდის. პაერი საზოგადოდ ნისლიანი არის. და თოვლი დიად მცირედ მოდის. ესე ყოველი გარდაატყვევს უმრავლესს მოკლეს დღეებს რომელთამე გამოჩენებულის გვარის დაჭლე, რომლისაც სიბნელე ყოველს საქმეში გარდაემატება უკანასკნელის საყოველთაოს დაბნელების ჟამს ყოველს სიბნელეს. ეს ზომიერი დარი დიად ეწევა ხელის დაჭერას.

### შერთული ამბავი.

ანანურის მაზრის სოფელს ფინვანს მცხოვრებს საქონლისთვის ყმას წარველს თამაზა სახია შვილს, როგორც გვარწმუნებენ მოსულებული მეზობელნი და მისი მოხელეები ანანურის დუკანოზი ზედანოვი, უცოცხლია ასცამეტი წელიწადი თავისი სიცოცხლეში სრულიად უსნეულად, და ამ ფებერვლის ი. მომკვდარა ჩვეულებითის სიკვდილით.